მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი №-10

დ. მესტია **28.10. 2022წ**

<u>სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:</u> მ. ჯაფარიძე, ზ. ჩართოლანი, ვ. ჭკადუა, **ი. რატიანი,** შ. ცინდელიანი, მ. ხორგუანი, რ. გვარმიანი, ზ. ფალიანი, ბ. ნაკანი, ბ. კვიციანი, გ. გიგლემიანი, **გ. დადვანი,** დ. გვიჩიანი, **თ. დადეშქელიანი, ი. გირგვლიანი, ლ. პაკელიანი,** ლ. პირველი, ლ. ჩარკვიანი, მ. პაკელიანი, ლ. ქალდანი, შ. გულედანი, ზ. დევდარიანი, კ. გუჯეჯიანი, ზ. ხარძიანი, შ. რატიანი, ა. რატიანი,

<u>სხდომას არ ესწრებოდნენ:</u> გ. ხვისტანი, მ. კვანჭიანი, მ. გელოვანი, **მ. რატიანი,** გ. გელოვანი, ზ. ჯაფარიძე, დ. ჯაფარიძე.

<u>სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის მთ. სპეციალისტი ა. უმფრიანი, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ-ის ახალგაზრდული საბჭოს დირექტორი ი. მიქიანი, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ქ. ხარძიანი.

<u>სხდომას თავმჯდომარეობდა</u>

<u>სხდომის მდივანი:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების მთ. სპეციალისტი მ. ნიგურიანი.

სხდომის დაწყებამდე საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის მიხედვით სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 33 წევრიდან 26 დეპუტატი.
თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიესალმა და გააცნო დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზურაბ დევდარიანის საკრებულოს წევრობის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

/მომხსენებელი: შ.ცინდელიანი./

2. მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის III კვარტლის ბიუჯეტის გეგმის შესრულების შესახებ.

/მომხსენებელი: ა. უმფრიანი. თანამომხსენებელი: რ. გვარმიანი./

3. მესტიის მუნიციპალიტეტისთვის საქართველოში იაპონიის საელჩოსგან გრანტის მიღების თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი: ი. მიქიანი, თანამომხსენებელი: რ. გვარმიანი./

4. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შენადგენლობის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 03.12.2022 წლის №-68 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

/მომხსენებელი: შ. ცინდელიანი./

5. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე

/მომხსენებელი: ქ. ხარძიანი. თანამომხსენებელი: შ. ცინდელიანი./

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ეყაროს კენჭი ,,მესტიის **მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ოქტომბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“**. წარმოდგენილი რედაქციით.

მომხრე----------26

წინააღმდეგი------0

თავი შეიკავა-------0

კენჭისყრის შედეგად საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

საკრებულომ დაადგინა: მიიღონ განკარგულება ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ოქტომბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება №g-135.135223011 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა შ. ცინდელიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზურაბ დევდარიანის საკრებულოს წევრობის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“.

მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ზ. დევდერიანის განცხადება საკრებულოს წევრობის უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებით. კანონის ფარგლებში პირადი განცხადების საფძველზე საკრებულომ ცნობად უნდა მიიღოს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------26

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზურაბ დევდარიანის საკრებულოს წევრობის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“.

მიღებული იქნა დადგენილება:

(დადგენილება №g-135.135223012 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ა. უმფრიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის III კვარტლის ბიუჯეტის გეგმის შესრულების შესახებ“.

მომხსენებელმა მესამე კვარტლის ბიუჯეტი წარმოადგინა ნაზარდი ჯამით, ისაუბრა გეგმაზე, შემოსულობებზე და გადასახდელებზე, 2021 წლიდან გადმოსულ ნაშთებზე. ბუნებრივი

რესურსებიდან და მიწის იჯარიდან შემოსულ მოსაკრებელზე, ისაუბრა ტენდერების ჩატარების ხარვეზებზე, რაც აისახება პროექტების შესრულებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: რ. გვარმიანმა--შემოსულია მესამე კვარტლის ანგარიში ნაზარდი ჯამით, კომისიამ განიხილა საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

მომხრე ----------26

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის III კვარტლის ბიუჯეტის გეგმის შესრულების შესახებ".

მიღებული იქნა დადგენილება:

(დადგენილება№- 135.135223013 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა ი. მიქიანმა მესტიის მუნიციპალიტეტისთვის საქართველოში იაპონიის საელჩოსგან გრანტის მიღების თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო იაპონიის საელჩოსა და მესტიის მუნიციპალიტეტს შორის დადებული საგრანტო ხელშეკრულება, მესტიის მუნიციპალიტეტისთვის პირველი საზოგადოიებრივი ავტობუსის შეძენის შესახებ, საგრანტო თანხა შეადგენს 72,600,57(სამოცდა თორმეტი ათას ექვსასი და ორმოცდაჩვიდმეტი) აშშ დოლარის ოდენობას. ისაუბრა ხელშეკრულებაში ჩადებულ პირობებზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: ბ. ნაკანი--კომისიამ განიხილა აღნიშნული პროექტი, მოიწონა და მიესალმა რაიონის მოსახლეობისთვის სასიკეთო ღონისძიებას.

გ. დადვანი-- მოიწონა პროექტი და აღნიშნა, რომ საჭირო იქნება ეფექტიანი მუშაობისთვის კონსულტაციის გავლა შესაბამის ორგანოებთან.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------25

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება მესტიის მუნიციპალიტეტისთვის საქართველოში იაპონიის საელჩოსგან გრანტის მიღების თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მიღებული იქნა განკარგულება:

(განკარგულება №- გ-135.135223014 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხზე მოხსენება გააკეთა ქ. ხარძიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შენადგენლობის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 03.12.2022 წლის №-68 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას მოახსენა, რომ საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლეობის წესის განსაზღვრის თაობაზე, ახალი საკრებულოს წევრის განცხადების საფუძველზე კომისიების შემადგენლობაშიც შევიდა ცვლილებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------25

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შენადგენლობის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 03.12.2022 წლის №-68 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“. .

მიღებული იქნა დადგენილება:
(დადგენილება№-გ-135.135223015 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხზე მოხსენება გააკეთა ქ. ხარძიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“.

მომხსენებელმა ისაუბრა ცვლილებებზე, ცვლილება შეეხო მერიის სოციალურ სამსახურში იქმნება სოციალურ დაუცველთა ბაზა, და ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტს, არასამუშაო დღეებშიც უწევთ საქმის კეთება, მესტიის მუნიციპალიტეტის მერს კანონიდან გამომდინარე უფლება აქვს გაზარდოს სახელფასო განაკვეთი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: რ. გვარმიანმა--კომისიამ განიხილა საკითხი. დატვირთვიდან გამომდინარე მართებულად მიაჩნია სახელფასო განაკვეთის ზრდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------25

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“.

მიღებული იქნა დადგენილება:
(დადგენილება№-16 თან ერთვის)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილული იქნა.
სხდომა გამოცხადდა დახურულად.

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე